გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

გორის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:** ძალადობის შედეგად ფსიქოთერაპიის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოთერაპიის კურსების დაფინანსება.

(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

ძალადობა განცდილი ბავშვების დახმარება. ძალადობა განცდილი ბავშვების ფსიქოთერაპიული კურსების დაფინანსება, მშობლების კონსულტირება და საჭიროების შემთხვევაში ერთობლივი თერაპია. ბავშვის უფლების დაცვა და მხარდაჭერა. წლის განმავლობაში, ფსიქოთერაპიის კურსის გასავლელად, დაფინანსებას მიიღებს 18 წლამდე ძალადობის შედეგად ფსიქოთერაპიის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად), რომელიც რეგისტრირებულია გორის მუნიციპალიტეტში.

2. **თემატიკა:**

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

ძალადობის შედეგად ფსიქოთერაპიის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოთერაპიის კურსების დაფინანსება.

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

გორის მუნიციპალიტეტი

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

გორის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. გორის მუნიციპალიტეტის ფართობი 2327 კმ2 - ია, მოსახლეობის რაოდენობა კი 144000 ადამიანს შეადგენს. გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია - ქ. გორი. თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებების მართვის ოპტიმიზაციისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია სულ 21 ადმინისტრაციული ერთეული. გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო აღმსარულებელ ორგანოს წარმოადგენს გორის მუნიციპალიტეტის მერია, რომელსაც ხელმძღვანელობს პირდაპირი წესით არჩეული გორის მუნიციპალიტეტის მერი. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავს ისტორიულად და გეოგრაფიულად უმნიშვნელოვანეს ადგილებს, მათ შორის, ქ. გორიდან რამოდენიმე კილომეტრში

მდებარეობს ძველი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუში, VII საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი ატენის სიონი, ასევე, კლდეში ნაკვეთი უძველესი ქალაქი უფლისციხე, რომელიც VII საუკუნით თარიღდება. უფლისციხესა და მის შემოგარენში დაცულია არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ძეგლთა ჯგუფი, რომელთაგან უძველესი ადრინდელი ბრინჯაოს ხანისაა და მტკვარ-არაქსის კულტურის წრეს განეკუთვნება.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

მაღალმთიანი სოფლები, ეგრეთ წოდებული საზღვრისპირა სოფლები და დევნილთა ჩასახლებები. გორის მუნიციპალიტეტის პროგრამები ძირითადად მორგებულია მოსახლეობის საჭიროებებზე.

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
  პროგრამის განხორციელების დადებითი მაჩვენებლია ის, რომ მომსახურების მიმწოდებელია ოთხი ორგანიზაცია,რომეთაც ჰყავთ კვალიფიციური სპეციალისთები, მნიშვმელოვანია, რომ ბენეფიციარი არ იზღუდება პროვაიდერი ცენტრის არჩევანში. აგრეთვე პროგრამით შეიძლება ისარგებლოს ამ საჭიროების მქონე ყვლელა ბენეფიციარმა, მიუხედავად მისი სოციალური სტატუსისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ განსაზღვრული ვიზიტების თანხა იფარება სრულად. პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი თანამშრომლობა , რომლის კარგი პრაქტიკაც გაგვაჩნია.

- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

  ბენეფიციარის გამოვლენის მიზნით სხვასასხვა უწყებებთან თანამშრომლობა. მნიშვნელოვანია არსებული პრობლემის დანახვა დროული იდენტეფიცირება და ინტერვენცია.მნიშვნელოვანია სწორად იქნეს შერჩეული პროგრამის განმახორციელებელი, რომელსაც ეყოლება კვლიფიციური კადრი, მნიშვნელოვანია აგრეთვე როგორც ბინეფიცირის მზაობა, ისე სერვისის მიმწოდებლების მზაობა მომსახურების მიღებაზე .

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი

რამდენიმე წლის წინ გორის მუნიციპალიტეტში მოხდა მასობრივი ძალადობა ბავშვებზე, რომელიც დღეს ცნობილია ე.წ. „ფოტოგრაფების“ საქმის სახელით. ცალკეულ შემთხვევებში კიდევ ყოფილა გარყვნილი ქმედების და გაუპატიურების შემთხვევები. წარსული გამოცდილებიდან თვალნათელი გახდა, რომ ბავშვები, რომლებმაც განიცადეს ძალადობა, იყვნენ დათრგუნულები, შეურაცხყოფილები, ჩაკეტილები, ჰქონდათ სუიციდის მცდელობები, ესაჭიროებოდათ გადაუდებელი დახმარება, როგორც ბავშვებს, ასევე მათ ოჯახებს. რიგ შრმთხვევაში ფინანსური რესურსი ოჯახებს არ გააჩნდათ. ამდენად, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებამ დაარსების დღიდან (09.2020წ) დაიწყო მუშაობა ძალადობის შედეგად ფსიქოთერაპიის საჭიროების მქონე ბავშვების ფსიქოთერაპიის კურსების დაფინანსების მიზნით პროგრამის შემუშავებაზე. 2021 წლის იანვრიდან დაიწყო პროგრამის განხორციელება. მომსახურების მიმწოდებელი არის 4 კლინიკა. შესაძლებელია ბენეფიციარმა მომსახურება მიიღოს მათთვის სასურველ კლინიკაში. არ იზღუდება მომსახურების მიღება სპეციალისტთან სხვა ქალაქშიც. თერაპიის დასრულების შემდეგ უკუკავშირით დასტურდება, რომ პროგრამა მნიშვნელოვანია ძალადობა განცდილი ბავშვებისთვის.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**

„1. წლის განმავლობაში ერთჯერად დაფინანსებას 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით მიიღებს 18 წლამდე ძალადობის შედეგად ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად) , რომელიც რეგისტრირებულია გორის მუნიციპალიტეტში 2021 წლამდე.

2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია :

ა) განცხადება მერის სახელზე ;

ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის /დაბადების მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან /და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი ;

გ) ფსიქოლოგის დასკვნა და რეკომენდაცია ფსიქორეაბილიტაციის საჭიროებაზე .

დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან /და ანგარიშფაქტურა შესაბამისი დაწესებულებიდან;

3. ბენეფიციარის მიერ პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ფსიქორეაბილიტაციის საჭიროების თაობაზე დასკვნას და რეკომენდაციას გასცემს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეული ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ფსიქოლოგი .

4 . დახმარების მისაღებად გორის მუნიციპალიტეტის მერი გასცემს საგარანტიო წერილს , რომელიც შესაბამისი დაწესებულებისთვის მომსახურების გაწევის საფუძველია .

5. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამის საბანკო ანგარიშზე.“

აქტივობათა გეგმა/გრაფიკი (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

ასეთი გრაფიკი არ არსებობს, პროგრამა დამოკიდებულია მომართვიანობაზე

- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი** (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

ა.) „გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №36 დადგენილება;
ბ) „გორის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის №35 დადგენილება.
გ) „გორის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 8 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 მაისის №19 დადგენილება.
დ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ანგარიში
ე) შეხვედრის ამსაველი ფოტო მასალა
ვ) საინფორმაციო ბროშურები, ტრიპლეტები

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**

  <u>გორის სამედიცინო ცენტრი,</u>
  <u>ნეიროგანვითარების ცენტრი</u>
  <u>იავნანა „ნაბიჯები“</u>
  <u>წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GSRT).</u>

- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;

  გამოყენებულია ადამიანური რესურსი როგორც მუნიციპალიტეტის ისე სხვა ორგანიზაციების, ფინანსური დახმარება არის მთლიანად მუნიციპალიტეტის.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

  მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული კატეგორია სარგებლობს პროგრამით, არსებობენ კიდევ საჭიროების მქონე ბენეფიციარები, რომლებიც მომსახურებას არ იღებენ. მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლის დროული გამოვლინება და მათთვის ინფორმაციის მიწოდება პროგრამის შესახებ.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

  <u>სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დაზმარების შიდა ქართლის რეგიონული ცენტრი. ზ/აღნიშნული კლინიკის ფსიქოთერაპევტები</u>

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

  ფსიქოთერაპიის განხრით სპეციალიზირებული პროფესიონალი კადრების მოძიება, მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროდ განხორციელება, უწყებათაშორისი თანამშრომლობა.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

პროგრამის განხორციელებამ დადებითად იმოქმედა იმ ბენეფიციარებზე, რომლებმაც ისარგებლეს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან ფსიქოთარაპიული მომსახურებით, სეანსების შემდგომ მათი უნარები, მეტალური მგომარეობა არის გაუმჯობესებული, რაც დადებითად აისახება მათ უნარებზე და ცხოვრების ხარისხზე.

პროგრამის მოსარგებლეების შესახებ კონფიდენციალობა არის მკაცრად დაცული და არასაჯარო, ამდენად დოკუმენტირებულ ინფორმაციას ვერ წარმოგიდგენთ.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

მუნიციპალიტეტს, რომელსაც სურს აღნიშნული პროგრამის განხორციელება, მნიშვნელოვანია ითანამშრომლოს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან, ასევე მის მუნიციპალიტეტში მოიკვლიოს სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციას ჰყავს თუ არა პროფესიონალი კადრი. უპირველესი ამოცანა არის ბენეფიციარის კონფიდენციალობა. დაუშვებელია პროცესში მოხდეს ძალადობის შემდგომი ვიქტიმიზაცია.

პროგრამა უნდა იყოს მოქნილი და მორგებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებაზე. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მზაობა, ბიუჯეტის გამოყოფა პროგრამის განსახორციელებლად.

პროგრამის დამტკიცების შემდგომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით უნდა მოხდეს ინფორმაციის გავრცელება, მოსახლეობის და უწყებების ინფორმირებულობა. განყოფილების მიერ დღემდე აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ყველა უწყებასთან, პირთან, ვინც შემხებლობაშია ოჯახთან, თემთან და ბავშვებთან.

- **ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):
  ა) პროექტის შედეგად მუნიციპალური სერვისის მიწოდებაში ასახული ცვლილება;
  ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახული ცვლილება;
  გ) მოსახლეობის მხარდაჭერა;
  დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

ა) გორის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში დაემატა მუხლი, რომლის მიხედვითაც:

„1. წლის განმავლობაში ერთჯერად დაფინანსებას 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით მიიღებს 18 წლამდე ძალადობის შედეგად ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად) , რომელიც რეგისტრირებულია გორის მუნიციპალიტეტში 2021 წლამდე.

2. დახმარების მისაღებად ბენეფიციარის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია :

ა) განცხადება მერის სახელზე ;

ბ) დახმარების მიმღების (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის /დაბადების მოწმობის ასლი ან რეგისტრაციის ადგილის ამონაწერი ან /და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის ასლი ;

გ) ფსიქოლოგის დასკვნა და რეკომენდაცია ფსიქორეაბილიტაციის საჭიროებაზე .

დ) ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი ან /და ანგარიშფაქტურა შესაბამისი დაწესებულებიდან;

3. ბენეფიციარის მიერ პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ფსიქორეაბილიტაციის საჭიროების თაობაზე დასკვნას და რეკომენდაციას გასცემს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეული ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ფსიქოლოგი .

4 . დახმარების მისაღებად გორის მუნიციპალიტეტის მერი გასცემს საგარანტიო წერილს , რომელიც შესაბამისი დაწესებულებისთვის მომსახურების გაწევის საფუძველია .

5. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამის საბანკო ანგარიშზე.“

ბ) პროექტის შედეგად ადგილობრივ ბუჯეტში ასახულია შემდეგი:

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	**2021 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული სრულწლოვანი (არაუმეტეს 21 წლისა) მოქალაქეების დახმარება**	დაფინანსება ათ. ლარში
	06 02 17		**7,9**
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერად სოციალურ დახმარებას - 350 ლარის ოდენობით, რეგისტრაციისა და დავალიანებების დაფარვის მიზნით (ქონების რეგისტრაცია, კომუნიკაციების შეყვანა და დარეგისტრირება; კომუნალური გადასახადების (დავალიანება) დაფარვა, შრომითი მოწყობისათვის საჭირო დოკუმენტაციის ღირებულების ანაზღაურება (მართვის მოწმობა და სხვა საჭიროება). ერთი წლის განმავლობაში დახმარებას მიიღებს გორის მუნიციპალიტეტში 2021 წლამდე რეგისტრირებული პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და 2021 წლის 1 იანვრიდან გავიდა სახელმწიფო ზრუნვიდან. წლის განმავლობაში, ფსიქოთერაპიის კურსის გასავლელად, ერთჯერად დაფინანსებას 350 (სამასორმოცდაათი) ლარის ოდენობით მიიღებს 18 წლამდე ძალადობის შედეგად ფსიქოთერაპიის საჭიროების მქონე ბავშვი (საჭიროების შემთხვევაში ოჯახთან ერთად), რომელიც რეგისტრირებულია 2021 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში. **მიზანი** - მზრუნველობასმოკლებული ბავშვების დაცვა.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სახელმწიფო ზრუნვიდა გასული პირების/ბავშვების სოციალური დაცვა.		

გ

გ)) პროგრამას გააჩნია მოსახლეობის მხარდაჭერა

დ) მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპზე არ შემუშავებულა

10. **საკრებულოს როლი:**

- **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ;**

  გორის მუნიციპალიტეტისთვის აღნიშნული პროგრამა არის ინოვაციური, ჩვენს მიერ გამოკვეთილი იყო საკითხის აქტუალობა და პრობლემის სიმწვავე გორის მუნიციპალიტეტში, რის შემდეგაც საკრებულომ დაამტკიცა აღნიშნული პროგრამა. საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ პრაქტიკის/ინიციატივის მიმართ დადებითი იყო.

11. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

საჭიროების მქონე ბენეფიციარების დროული იდენტიფიცირება და პროგრამით სარგებლობის უზრუნველყოფა.

12. **საკონტაქტო ინფორმაცია:**

- **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა);

დიანა ბერიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი. ტელ: 595 33 55 ელექტრონული ფოსტის მისამართი: 07.diko.beridze@gmail.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
- **ალექსანდრე თარხნიშვილი** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ტელ: 599522011.
- **დიანა ბერიძე** - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი. ტელ: 595335507.

13. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

გთხოვთ განაცხადს თან დაურთოთ:

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები;

ბ) პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიშები (მ.შ.: მერის, საკრებულოს წევრის ანგარიშები);

გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;

გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.

თანდართული დოკუმენტების/მასალების სია:

<u>ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები:</u>

საინფორმაციობროშურები .ტრიპლეტები. კალენდრები

ბ) <u>პროექტთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანგარიში</u>

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ანგარიში

<u>გ) ადგილობრივი ეკონომიკური განვითერბის გეგმა, სტრატეგია ან სხვა დოკუმენტი, რომელიც კავშირშია პროექტის განხორციელებასთან;</u>

<u>ასეთი დოკუმენტები არ შექმნილა</u>

<u>გ) პროექტის განხორციელების, სხდომების, მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა ან შესაბამისი ლინკი.</u>

<u>შეხვედრის ფოტო მასალა</u>

<u>https://www.facebook.com/media/set?vanity=CityHallofGori&set=a.4977147699034921</u>

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 18 მარტი.

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge